მიწის ნაკვეთების შესყიდვის ძირითადი პირობები / მოთხოვნები კომერციული ობიექტების მშენებლობისთვის:

- **მდებარეობა** - მიწის ნაკვეთი უნდა მდებარეობდეს დასახლებულ უბნებში, ცენტრალურ და/ან მოძრავ მაგისტრალზე, კვარტლებში კორპუსებს შორის ან მათ პერიმეტრზე - რეგიონების და ქალაქების შემთხვევაში ცენტრალურ ადგილებში სადაც ხდება ძირითადი ხალხის ნაკადის თავმოყრა.

- **მიწის ფართობი** - მიწის ფართობზე უნდა იყოს შესაძლებელი რომ აშენდეს 300 – 400 კვ.მ შენობა ნაგებობა სასაწყობე ფართის გათვალისწინებით - ადგილმდებარეობიდან გამომდინარე შესაძლებელია განხილულ იქნას უფრო დიდი ფორმატის მშენებლობაც თუ ობიექტის კომერციული პოტენციალი მაღალია, რასაც განსაზღვრავს მიმდინარედ მჭიდრო დასახლება, მოძრავი ცენტრალური მაგისტრალი და ა.შ.

- **პარკირება** -აუცილებელია და უპირატესია მიწის ნაკვეთები რომლებზეც მშენებლობა ისეთი პრინციპით ხდება რომ, პარკირებისთვის დარჩეს ფასადის მხრიდან ადგილები, რაც ობიექტს მისადგომად მარტივს გახდის.

- **ტურისტული მარშუტები** - განიხილება ასევე ზემოთ აღნიშნული პირობებით მიწის ნაკვეთების შეძენა ტურისტულ მარშუტებზე და ე.წ „პიტ სტოპებზე“

- **ძირითადი ლოკაციები** -ზემოთ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად ლოკაციების მოძიება ხდება მთელი საქართველოს მაშტაბით, შესაბამისად თუ მიწის ნაკვეთი აკმაყოფილებს ზემოთ მოწოდებულ მოთხოვნებს შეიძლება ნებისმიერი ლოკაციის განხილვა.

- **კომუნიკაციები** - სასურველია მიწის ნაკვეთზე მიყვანილ იქნას კომუნიკაციები - დენი წყალი, საკანალიზაციო სიტემა - თუ არა აუცილებელია ახლოს იყოს ცენტრალურ არხებთან - კომუნიკაციების მოყვანა მიწის მესაკუთრის პასუხისმგებლობაა.

- **მოსაწოდებელი პირველადი დოკუმენტაცია -** პირველ ეტაპზე განსახილველად საჭიროა ობიექტის საკადასტრო კოდის მოწოდება ან საკადასტრო ნახაზის - სიტუაციური სურათების მოწოდება, ასევე უპირატესად ჩაითვლება მიწის ნაკვეთები რომელზეც არსებობს მშენებლობის ნებართვა- ასევე საჭიროა პირველადი ინფორმაცია მიწის ნაკვეთზე კომუნიკაციების არსებობის / არ არსებობის შესახებ